ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7786433

ნომერი: AR11125678

თარიღი : 21.01.2026

გაცემის თარიღი : 28.01.2026

გაცნობის თარიღი : 05.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუიზა ხაჩატუროვა პ/ნ 01011012646
- ქ.თბილისი, გამზირი ქეთევან წამებული №8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი. პასუხად გაცნობებთ, რომ იმისათვის რომ სამსახურმა შეზლოს საკითხზე მსჯელობა საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა, რადგან სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6647824 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), ქეთევან წამებულის გამზ. N8-ში დამხმარე - ტექნიკური შენობების მზიდი ელემენტების, საყრდენი კედლის, დაზიანებული კედლის ან/და შენობის გამაგრების არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, დოკუმენტაციაში წარმოდგენილ მშენებლობის ორგანიზების პროექტში გათვალისწინებული იყო დროებითი ღობის განთავსება, შესაბამისად სამსახურის მხრიდან მისი განთავსების შესაძლებლობის დადასტურება აღარ არის საჭირო. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხორციელდება დროებითი ღობის რაიმე სახის ცვლილება, საჭიროა სამსახურს მომართოთ 2023 წლის 5 სექტემბრის №6647824 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის კორექტირების მოთხოვნით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.